



საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 17/00

„ 13 „ მარტი 2010

ქ. თბილისი

“ ვ ა მ ტ კ ი ც ე პ ”
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ალასანიძე

13 „ მარტი „ 2010 წელი

ეგზ. N2

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2009 წლის სახელმწიფო
ბიუჯეტის შესრულების ფინანსური
აუდიტის აქტი

სარჩევი

შესავალი, საქმიანობის მოკლე მიმოხილვა -----2
ძირითადი ტექსტი -----3

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

1.1. წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების
შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის
გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება -----3

1.2. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის
ცალკეული მუხლების მიხედვით -----4

1.3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო
ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა -----7

1.4. გრანტების (ფულადი და სასაქონლო), ჰუმანიტარული დახმარებების და
საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლების მიღების, აღრიცხვის
და გამოყენების მდგომარეობა -----7

- 1.5. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის კანონიერება -- 8
2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება) ----- 9

შესავალი

თემატური აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 4 მარტის N18/43 ბრძანება („საქართველოს კონტროლის პალატის 2010 წლის აუდიტის გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2009 წლის 29 დეკემბრის ბრძანება N314/42)

აუდიტის ობიექტი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, - 0146, უზნაძის ქ. N52.

აუდიტის ჯგუფი - უფროსი აუდიტორი გიორგი კვანჭილაშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი), აუდიტორი გურამ სალუქვაძე.

აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილი იქნა ერთობლივად.

აუდიტის პერიოდი: 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ვადა - 2010 წლის 4 მარტიდან 2010 წლის 16 მარტამდე. აუდიტი დიწყო 2010 წლის 4 მარტს და დასრულდა 15 მარტს.

აუდიტის მეთოდი: წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი.

შენიშვნა: აუდიტის დროს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი და აუდიტის პერიოდში აუდიტის პასუხისმგებელ პირთა სია აქტს ერთვის დანართის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

შემოკლებანი:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - სამინისტრო;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური - ხაზინა;
- საქართველოს პრეზიდენტი - პრეზიდენტი;
- საქართველოს მთავრობა - მთავრობა.

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო“ ფუნქციონირებს საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მოთხოვნების შესაბამისად. სამინისტროს დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენებისთვის.

სამინისტრო არის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ორგანო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სფეროში. საკუთარი კომპეტენციის

ფარგლებში სამინისტრო ახორციელებს თავის დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს, უზრუნველყოფს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სრულყოფას, მეცნიერების განვითარებასა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელებას.

ძირითადი ტექსტი

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

1.1. წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება.

1.1.1. აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სამინისტროსთვის დამტკიცებული ასიგნებების ოდენობა (537,967.7 ათასი ლარი, მათ შორის საბიუჯეტო სახსრები - 520,736.8 ათასი ლარი, ხოლო კრედიტები და გრანტები - 17,230.9 ათასი ლარი) საანალიზო პერიოდში ორჯერ დაზუსტდა და საბოლოოდ, „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე 2009 წლის 4 დეკემბრის N2229 საქართველოს კანონით, განისაზღვრა 519,797.5 ათასი ლარით, მათ შორის საბიუჯეტო სახსრები - 496,133.1 ათასი ლარით, ხოლო კრედიტები და გრანტები - 23,664.4 ათასი ლარით.

საანალიზო პერიოდში სამინისტროს 2009 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების გადანაწილება საბიუჯეტო კლასიფიკაციის ორგანიზაციულ მუხლებს შორის განხორციელებულია 42 ცვლილებით, შედეგად, გადანაწილებულ იქნა 25 133,0 ათასი ლარის ოდენობის ასიგნება, ხოლო ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის (ღონისძიებები, პროგრამები და პროექტები) განხორციელებული 54 ცვლილებით გადანაწილდა 4 790,8 ათასი ლარი. სულ 2009 წელს სამინისტროსთვის გათვალისწინებულ წლიურ ასიგნებებში განხორციელებული 96 ცვლილებით გადანაწილებულია 29 923,8 ათასი ლარი.

სამინისტროს 2009 წლის ასიგნებები (სამინისტროს საბალანსო სალდო) წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად შემცირდა 18 170,2 ათასი ლარით. მათ შორის, სამინისტროს დაქვემდებარებაში მოქმედი სკოლა-ინტერნატების (პანსიონური მომსახურება) გადაცემით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის, სამინისტროს ასიგნებები შემცირდა 8 195,5 ათასი ლარით. ცვლილება განიცადა აგრეთვე და 65 865,5 ათასი ლარიდან 65 732,6 ათას ლარამდე შემცირდა სამინისტროს სამეცნიერო კვლევების პროგრამების (კოდი 32 13) საბალანსო ნაშთი, რაც გამოწვეულია ზოოლოგიის ინსტიტუტისა (დაფინანსება - 56,7 ათასი ლარი) და ქუთაისის სამეცნიერო ცენტრის (დაფინანსება - 237,8 ათასი ლარი) შეერთებით შესაბამისად, ილიას სახელმწიფო და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვის, აგრეთვე, აღნიშნულ კოდს დაემატა „ევროპული და

ევროატლანტიკური ინტეგრაციის“ პროგრამა (დაფინანსება - 161,6 ათასი ლარი). ანალოგიური ცვლილებები განხორციელებულია 32 14 და სხვა საბიუჯეტო კოდებში.

საანალიზო პერიოდში საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სამინისტროსთვის დამტკიცებული ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილებულია “საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული პროცენტის ფარგლებში.

სამინისტროს 2009 წლის პრიორიტეტების დაფინანსება განსაზღვრულია „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 და 47-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, სადაც წლების მიხედვით ძირითადად აღინიშნება დაფინანსების ზრდის ტენდენცია, თუმცა პროფესიული განათლების დაფინანსება წინა წლებთან მიმართებაში შემცირებულია (ცხრილი N1).

1.1.2. აუდიტის ობიექტისთვის მიცემული რეკომენდაციები:

სამინისტრომ საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილება განხორციელოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

1.2. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით.

1.2.1. აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზით გაირკვა, რომ სამინისტროს 2009 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში ძირითადად გათვალისწინებულია სკოლანდელი აღზრდის, ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი, უმაღლესი აკადემიური განათლების და მათთან დაკავშირებული სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დასაფინანსებლად.

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2007 წლის ფაქტი	2008 წლის ფაქტი	2009 წლის ფაქტი	ცხრილი N1 ათას ლარებში	
					მ. შ., საბიუჯეტო სახსრები	მ. შ., კრედიტები და გრანტები
709	განათლება	379,251.5	419,241.9	484,559.0	460,906.6	23,652.4
7091	სკოლამდელი აღზრდა	0.0	0.0	140.0	140.0	0.0
7092	ზოგადი განათლება	289,098.2	315,298.8	341,859.3	341,859.3	0.0
7093	პროფესიული განათლება	15,341.0	13,270.1	12,846.5	12,846.5	0.0
7094	უმაღლესი განათლება	47,852.1	52,398.9	68,968.6	68,968.6	0.0
70942	უმაღლესი აკადემიური განათლება	47,852.1	52,398.9	68,968.6	68,968.6	0.0
7095	უმაღლესი შემდგომი განათლება	316.4	145.8	221.3	221.3	0.0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	12,450.5	17,883.5	37,244.1	14,496.4	22,747.7
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	14,193.3	20,244.8	23,279.2	22,374.5	904.7

ცხრილში N1 მოცემული ფუნქციონალური კოდებით განსაზღვრული პროგრამების დასაფინანსებლად 2009 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა (ხარჯები) საბიუჯეტო კლასიფიკაციის ეკონომიკური მუხლების მიხედვით მოცემულია ცხრილში N2.

ცხრილი N2
(ათასი ლარი)

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლები	დაზუსტებული გეგმა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა (3-4)	შესრულება % (3/2)	შესრულება % (4/2)
1	2	3	4	5	6	7
1. ხარჯები	477505,5	461876,0	492102,2	-30226,2	96,7%	103,1%
შრომის ანაზღაურება	5442,6	5398,3	5398,0	0,3	99,2%	99,2%
საქონელი და მომსახურება	15786,3	12340,7	10718,2	1622,5	78,2%	67,9%
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	29322,7	-	-	-
პროცენტი	-	-	-	-	-	-
სუბსიდიები	60754,9	55976,2	62160,1	-6183,9	92,1%	103,0%
გრანტები	92,6	87,7	81,5	6,2	94,7%	88,0%
სოციალური უზრუნველყოფა	4909,3	4667,3	4631,6	35,7	95,1%	94,3%
სხვა ხარჯები	390519,8	383405,8	379790,1	3615,7	98,2%	97,3%
2. არაფინანსური აქტივების ზრდა	42216,0	27881,6	-	-	66,1%	-
3. ვალდებულებების კლება	131,1	24,6	-	-	18,8%	-
სულ:	519852,6	489782,2	492102,2	-2320,0	94,2%	94,7%

ცხრილში N2 აღნიშნული მონაცემების ანალიზით გაირკვა, რომ სამინისტროს 2009 წლის ასიგნებების 81,8% (390 519,8 ათასი ლარი) „სხვა ხარჯების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებებია.

სამინისტროს მიერ წარმოდგენილი საბალანსო მონაცემებით 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს ერიცხებოდა 641 241,9 ათასი ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივები. მათ შორის, წმინდა ღირებულების აქტივების ოდენობა 586 463,1 ათასი ლარი, გაუნაწილებელი მოგების - 45 019,6 ათასი ლარი, ხოლო დაუფარავი ზარალის - 462,5 ათასი ლარია.

საანალიზო პერიოდში სამინისტროს კაპიტალზე განხორციელებული ოპერაციების შედეგად 2009 წლის ბოლოს არსებული ნაშთის საბალანსო მონაცემმა შეადგინა 805 492,3 ათასი ლარი. მათ შორის, წმინდა ღირებულების ოდენობამ 736 647,4 ათასი ლარი, გაუნაწილებელმა მოგებამ - 53 129,9 ათასი ლარი, ხოლო დაუფარავმა ზარალმა - 498,4 ათასი ლარი.

საანალიზო პერიოდში სამინისტროს მიერ უსასყიდლოდ მიღებული აქტივების ღირებულება 153 560,1 ათასი ლარი, უსასყიდლოდ გაცემულის - 18 621,3 ათასი ლარი, ხოლო ძირითადი კაპიტალის მოხმარების ოდენობა 33 659,9 ათასი ლარია.

საანალიზო პერიოდში სამინისტროს ანგარიშზე რიცხული ნაერთი დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები (01.01.09 წლის მდგომარეობით შესაბამისად, 40 537,9 ათასი ლარი და 10 498,4 ათასი ლარი) გაიზარდა და 01.01.10 წლის მდგომარეობით

ნაერთმა დებიტორულმა დავალიანებამ შეადგინა 52 176,4 ათასი ლარი, ხოლო კრედიტორულმა - 14 766,5 ათასი ლარი.

სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ნაერთი საბალანსო მონაცემებისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნულ პერიოდში სამინისტროს დებიტორული დავალიანების მკვეთრი ზრდა ძირითადად გამოიწვია მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გაწეული საკასო ხარჯის (16 142,4 ათასი ლარი) არაღიარებამ (2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) ფაქტიურ ხარჯად. ასევე არ იყო აღიარებული ხარჯებში სამეცნიერო ფონდის მიერ გაცემული გრანტები, დაუსრულებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები და უმაღლესი სასწავლებლების ფასიანი სწავლებიდან მისაღები შემოსავლები.

საანალიზო პერიოდში სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომატური ექსპლოატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში N3.

ცხრილი N3
ათას ლარებში

მაჩვენებელთა დასახელება	რაოდენობა	ხარჯი		შენიშვნა
		საკასო	ფაქტიური	
სატრანსპორტო ერთეულთა საშუალო წლიური რაოდენობა	1041	2119,6	2053,7	
მ.შ. მსუბუქი მაქანები	786	1943,4	1878,1	
აქედან ა) პერსონალური სარგებლობა	75	367,9	378,8	
ბ) სამსახურებრივი მიმოსვლის	586	1668,4	1590,7	
გ) ოპერატიული და სპეცდანიშნულების	146	83,2	84,2	

1.2.2. აუდიტის ობიექტისთვის მიცემული რეკომენდაციები:

სამინისტროს ასიგნებების შესრულების მეტი გამჭვირვალების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია „სხვა ხარჯების“ მუხლში გათვალისწინებული ასიგნებების ნაწილი გაიწეროს კონკრეტული მიზნობრივი ღონისძიებების მიხედვით და აისახოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამის მუხლებში.

1.3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა.

1.3.1. აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

საანალიზო პერიოდში ნორჩ გამომგონებელთა საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილე და „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ჩატარებული ეროვნული და საერთაშორისო ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოების მიზნით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან, პრეზიდენტის 2009 წლის 13 მაისის N323, 2009 წლის 25 მაისის N365 და 28 მაისის N374 განკარგულებებით სამინისტროს გამოეყო 53,1 ათასი ლარი, საიდანაც მიზნობრივად გახარჯულია 52,8 ათასი ლარი, ხოლო ნაშთი 0,3 ათასი ლარი დაბრუნებულია სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის შესაბამის ანგარიშზე.

მთავრობის 2009 წლის 10 თებერვლის N76 განკარგულების საფუძველზე, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიებისთვის გამოყოფილი 2,4

ათასი ლარი გახარჯულია მიზნობრივად და გადარიცხულია ოთხი ბენეფიციარის პირად საბანკო ანგარიშებზე.

საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან სამინისტროს სხვა სახსრები არ მიუღია.

1.4. გრანტების (ფულადი და სასაქონლო), ჰუმანიტარული დახმარებების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლების მიღების, აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა

1.4.1. აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

2009 წელს სულ, სამინისტროს საბალანსო მონაცემების საფუძველზე, გრანტების მუხლში განსაზღვრული 92 650,0 ათასი ლარის ოდენობის სასაქონლო და ფულადი გრანტებიდან მიღებული და გაწეულია 87 722,5 ათასი ლარის ოდენობის საკასო და 81 454,0 ათასი ლარის ფაქტიური ხარჯი.

საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაზუსტებული მიზნობრივი ასიგნებების ოდენობა, უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებული პროექტებისა და ამ პროექტებში თანამონაწილეობისა და თანადაფინანსებისათვის განისაზღვრა 23 664,4 ათასი ლარით, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 18 225,1 ათასი ლარი, სადაც 2 929,2 ათასი ლარი სამინისტროს თანადაფინანსებით გახარჯული თანხებია.

ფინანსთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის ცნობების საფუძველზე, სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, 2009 წელს სამინისტროს აპარატს ფულადი გრანტის სახით ფაქტიურად მიღებული აქვს 915,0 ათასი ლარი.

სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე გაირკვა, რომ 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ზოგიერთ სამეცნიერო ორგანიზაციასა და ფონდს არ წარმოუდგენია მათთვის გამოყოფილი მიზნობრივი გრანტებითა და თანადაფინანსებით შესრულებულ სამუშაოებზე შედგენილი ანგარიშები და გახარჯული სახსრების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შედეგად, სამინისტროს აღნიშნული თანხები დაკრედიტებულია და აღიარებულია დებიტორულ დავალიანებად.

საანალიზო პერიოდში სამინისტროს არასაბიუჯეტო შემოსავლების სახით (გრანტების გარდა) ფაქტიურად მიღებული აქვს 115082,1 ათასი ლარის ოდენობის შემოსავლები, საიდანაც ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლების მიხედვით გაწეულია 109 809,6 ათასი ლარის საკასო და 107005,9 ათასი ლარის ფაქტიური ხარჯი. შედეგად, 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღნიშნული შემოსავლების ნაშთმა წლის საწყისი ნაშთის გათვალისწინებით შეადგინა 52631,5 ათასი ლარი. აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია მოცემულია ცხრილში N5.

ცხრილი N5
(ათასი ლარი)

სტრიქონის კოდი	შემოსავლები	სულ	
		საკასო	ფაქტიური
1	2	3	4
010	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	21321,4	44555,3
020	საანგარიშო პერიოდის სხვა შემოსავლები	112970,2	115082,1

090	ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	109809,5	107005,9
180	არაფინანსური აქტივი	8910,6	-
230	ფინანსური აქტივი	4,1	-
270	ვალდებულებები	0,0	-
300	ბიუჯეტში გადახდილი თანხა	6536,8	-
310	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს	24482,1	52631,5

1.4.2. აუდიტის ობიექტისთვის მიცემული რეკომენდაციები:

სამინისტრომ დაიცვას საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 5 თებერვლის N66 ბრძანებით დამტკიცებული „სამინისტროებისა და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვისა და ხარჯვის წესით“ განსაზღვრული მოთხოვნები.

1.5. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის კანონიერება.

1.5.1. აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

საანალიზო პერიოდში სამინისტრო ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგებას აწარმოებდა ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად. ბუღალტრული აღრიცხვა ნაწარმოებია მემორიალურ ორდერული ფორმით, ელექტრონული „OrisManager“ - ფინანსური და ორგანიზაციული მართვისა და აღრიცხვის სისტემის გამოყენებით.

სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე გაირკვა, რომ მისი ფინანსური ანგარიშგება შედგენილი და წარდგენილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.5.2. აუდიტის ობიექტისთვის მიცემული რეკომენდაციები:

სამინისტრომ ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგებას აწარმოოს „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად.

2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება).

2.1. აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აგვისტოს N607 განკარგულებით სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ 28 ორგანიზაციას წინა წლებში წარმოქმნილი საგადასახადო დავალიანებების დასაფარად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, გამოეყო 2 997,0 ათასი ლარი, რითაც დაიფარა აღნიშნული ორგანიზაციების საგადასახადო დავალიანებები, თუმცა, ზოგიერთი მათგანის დავალიანების აღიარება განხორციელდა დაგვიანებით (საანალიზო პერიოდში).

2.2. აუდიტის ობიექტისთვის მიცემული რეკომენდაციები:

სამინისტრომ და მის დაქვემდებარებაში მყოფმა ორგანიზაციებმა, წარმოქმნილი საგადასახადო დავალიანებები აღიარონ მათი წარმოშობისთანავე.

აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობა და უფლებამოსილებანი

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის ობიექტი უფლებამოსილია აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროს მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ.თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი №96.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქართველოს კონტროლის პალატის

უფროსი აუდიტორი

გიორგი კვანჭილაშვილი



13.05.106.

ხელმოწერა

თარიღი

აუდიტორი

გურამ სალუქვაძე



13.05.106.

ხელმოწერა

თარიღი